აშ-შურა

კონსულტაციის ყურანისეული პრინციპები

AL-SHURA

The Qur'anic Principle *of* Consultation

AHMAD AL-RAYSUNI

იასი-ს წიგნების სერია

აშ-შურა

კონსულტაციის ყურანისეული პრინციპები

აჰმად არ-რაისუნი

ორიგინალი არაბულიდან
თარგმნა ნანსი რობერტმა,
შემოკლებულია ალისონ ლაიკის მიერ

International Institute
of Islamic Thought

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

აშ-შურა, კონსულტაციის ყურანისეული
პრინციპები (Georgian)
აჰმად არ-რაისუნი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.
1443ʒ/2022
Paperback ISBN: 978-9941-33-212-8

Al-Shura:
The Qur'anic Principle of Consultation (Georgian)
Ahmad Al-Raysuni
IIIT Books-In-Brief series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1434AH/2012CE
Paperback ISBN: 978-1-56564-584-4
IIIT
P.O. Box 669,
Herndon, VA, 20172, USA
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: როლანდ შავაძემ
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორები: ტარიელ ნაკაიძე, თამაზ მგელაძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
ვასლა A-508
ikiacademy.org

მომზადდა გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამ-
შრომლობით
საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც დაწერილია შემოკლებული ფორმით, იმისათვის, რომ მკითხველმა შეძლოს ორიგინალის ძირითადი შინაარსის გაგება. წარმოდგენილია მოკლედ, ადვილად წასაკითხ და დროის დაზოგვის ფორმატში. ეს თანმდევი რეზიუმეები წარმოადგენს დიდი პუბლიკაციების მჭიდრო, ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას და იმედია, მკითხველს მისცემს სტიმულს, რომ მომავალში გაეცნოს ორიგინალს.

აჰმად არ-რაისუნის ***„აშ-შურა[1]-კონსულტაციის ყურანისეული პრინციპები“*** გამოქვეყნდა (სრული სახით) 2011 წელს. მუსლიმებს დიდწილად არ აქვთ გაცნობიერებული „შურას“ ყურანისეული პრინციპების მნიშვნელობა და ღირებულება, არც ის განსაკუთრებული რო-

---

1. **აშ-შურა:** კონსულტაციის, თათბირის, ბჭობის შედეგად მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება. ტექსტში იოლად აღქმის მიზნით გამოყენებულია „ალ“ პრეფიქსის გარეშე.

ლი, რომელიც მას შეუძლია შეასრულოს მუსლიმური საზოგადოების წინსვლასა და რეფორმირებაში. ნაშრომის ავტორი ცდილობს „აშ-შურაᲡ“ საკვანძო მნიშვნელობების თუ პრაქტიკული გამოყენების წარმოდგენასა და განხილვას, თვალს მიადევნებს მის ისტორიულ ევოლუციას, და იკვლევს გზებს, რომლებითაც ეს პრინციპი ინსტიტუციონალიზებული და გამოყენებული შეიძლება იყოს მუსლიმურ საზოგადოებებში. უეჭველად, „აშ-შურა“ მთელს ისლამურ სამყაროში განზეა დატოვებული, მიზეზი კი როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკური სირთულეებია. ავტორის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის შესახებ ბევრი დაიწერა, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, იგი არაეფექტურად გამოიყენებოდა და უარეს შემთხვევაში, უდიერად იგნორირებული იყო. იგი დღესაც კი ცხარე კამათის საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან „აშ-შურაᲡ“ სულ უფრო მეტად ასოცირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში დემოკრატიულ ჩართულობასთან. დებატებმა წარმოქმნა კრიტიკა დემოკრატიის დასავლურ ცნებების თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებით, ხოლო სხვები ამტკიცებდნენ, რომ ეს პრინციპი ცენტრალიზებული ძალაუფლების არსს ეწინააღმდეგება. ეს და სხვა საკითხები გულდასმითაა მეცნიერულად გამოკვლეული. არ-რაისუნი ასკვნის, რომ „შურაᲡ“ გათავისებული უნდა იყოს, როგორც ყველა მუსლიმის ცხოვრების გზა მათი ინტერესების დასაცავად და როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საშუალება რეკოსტრუქციისა და რეფორმისთვის. ამგვარი მიდგომით, ის საკითხს განიხილავს ზოგიერთი დამაინტრიგებელი ახალი კუთხით, ყურადღებას ამახვილებს რა

ნაკლებად შესწავლილ, ანდა სულაც გამოუკვლეველ სფეროებზე.

Abridged Edition of Ahmad al-Raysuni's Original
AL-SHURA: THE QUR'ANIC PRINCIPLE OF CONSULTATION
A Tool for Reconstruction and Reform
Ahmad al-Raysuni
ISBN hbk: 978-1-56564-362-8
ISBN pbk: 978-1-56564-361-1
2012

შესავალი

„შურა“, ანუ კონსულტაცია, რეკონსტრუქციისა და რეფორმის საშუალებაა, რომელიც ნახსენებია ყურანში და ხორცშესხმულია შუამავალ მუჰამადის (ს.ა.ს.)[2] და მიმისი კომპანიონების პრაქტიკულ მოღვაწეობაში. იმ ხანებში მუსლიმებს დიდწილად არ ჰქონდათ გაცნობიერებული „შურას“ მნიშვნელობა და ღირებულება. ისლამის სწავლულები ორჭოფობენ, თუ როდის არის ეს პრინციპი სავალდებულო და რა საკითხები მოითხოვს კონსულტაციას. თანამედროვე კონტექსტში, „შურა“, ერთი მხრივ, ასოცირებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში დემოკრატიულ ჩართულობასთან, რომელიც მოითხოვს ყურანთან და სუნასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ კვალიფიკაციას; მეორე მხრივ კი, კრიტიკოსები სადავოს ხდიან ალ-შურას გაიგივებას დემოკრატიასთან. ისლამურმა სამყარომ, დღეისათვის პოლიტიკური ავტორიტარიზმის ჭაობში ჩაფლულმა, კონსულტაცია უნდა გაიხადოს ცხოვრების გზად, რათა მოხდეს როგორც ინდივიდის, ისე თემის ინტერესების დაცვა. ის ასევე უნდა გახდეს რეკონსტრუქციისა და რეფორმის იარაღი. ამ წიგნში გამოკვლეულია, თუ როგორ შეიძლება იყოს ეს

---

2. سلم و عليه الله صلى: (ṣალლᾱ ლლᾱჰუ ‘ალაᲂჰი ვა სალლამ) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუჰამმადი“ იქნება ნახსენები.

პრინციპი მუსლიმი საზოგადოების ცხოვრებაში ჩართული და გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ასობით წიგნი და სტატია გამოქვეყნდა ამ საკითხთან დაკავშირებით, „შურას“ კონცეპტი მაინც ბუნდოვანი რჩება. „შურას“ უამრავი დამატებითი ასპექტი განხილვას კვლავაც საჭიროებს. ეს წიგნი ფოკუსირებულია ფუნდამენტურ კონცეფციაზე და განმარტავს, თუ როგორ შეუძლია მის პრაქტიკაში დანერგვას მსოფლიოს მუსლიმი თემისთვის სარგებლის მოტანა. წიგნის წყაროებზე დაფუძნებული მეთოდოლოგია და სამართლებრივი პრინციპები ყურანის აიებისგან, შუამავლის ცხოვრებისეული მოვლენებისგან და მართლმორწმუნე ხალიფების მაგალითებისგან მომდინარეობს. როგორც წმინდა ყურანში ასევე შუამავლის სუნაში არსებული ბევრი ტექსტი ეხება კონსულტაციას, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს: სულიერსა და მატერიალურს, ინდივიდუალურსა და საზოგადოებრივს.

თავი პირველი

კონსულტაციის ადგილი ისლამურ ცხოვრებაში

როდესაც კონსულტაციის საკითხს განიხილავენ და ისლამურ სამართლებრივ ტექსტებში მის მხარდამჭერ მონაცემებზე მსჯელობენ, მკვლევრები და მწერლები ავლენენ ტენდენციას ფოკუსირებისა ყურანის ორ აიაზე: 42:38 და 3:159. ამ აიებში საუბარია იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც ალლაჰმა მის ანგელოზებს აცნობა

ადამის შექმნისა და დედამიწაზე მისი მემკვიდრეების მომავლის შესახებ. ცნობილი მკვლევრის, მუჰამმად ათ-თაჰირ იბნ აშურის მტკიცებით, ღმერთმა განახორციელა ეს ცვლილება, რათა პატივი მიეგო და ესწავლებინა მისი ანგელოზებისთვის და შთაეგონებინა ისინი, რათა ყოფილიყვნენ მიმბაძველნი. იგი განმარტავს, რომ კონსულტაცია შესაქმისის დასაწყისშივე ადამიანისთვის გზამკვლევად იყო ჩაფიქრებული.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ამ კატეგორიას მიეკუთვნება, არის იბრაჰიმის კონსულტაცია საკუთარ ვაჟთან (ისმაილი), როდესაც მან ღვთისგან ბრძანება მიიღო. იბრაჰიმის მიერ შვილის მსხვერპლად შეწირვა ღვთიური ბრძანებით უკვე გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, იბრაჰიმმა შვილს მიმართა: *„მაშ გაიაზრე აბა რას ვჭრეტ?“ მიუგო: ჰქმენ რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენთაგან, თუ იქნება ნება ალლაჰისა“!* (სურა *ალ-საფფათ* - 37:102). მიუხედავად იმისა, რომ იბრაჰიმმა ღვთისგან მიიღო მკაცრი ბრძანება ვაჟის მსხვერპლად შეწირვის შესახებ, მან ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაცია შვილთან მაინც გამართა.

რელევანტური ტექსტები ასევე შეიცავს ყურანის მრავალი აიას, რომლებიც ქმნის კონსულტაციის საფუძველს ინდივიდუალურ ცხოვრებაშიც: ცოლ-ქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, ოჯახურ უთანხმოებასა და განქორწინების დროსაც კი. კონსულტაციის პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე სხვა მრავალი მიზნისა და სარგებელის მიღწევაა შესაძლებელი. თუ ჩვენ დავეყრდნობით იბნ აშურის და იმ მოაზროვნეების მიერ გამოხატულ შეხედულებებს, რომლებიც მას მოჰ-

ყავს, კონსულტაცია არის პირველი სოციალური პრაქ-ტიკა, რისთვისაც ღმერთმა შექმნა პრეცედენტის სახით.

სხვა მაგალითში 'საერთო შეთანხმება და განსჯა' ცალსახადაა ნახსენები ყურანის აიებში, როდესაც საქმე მშობლების მიერ ბავშვის ძუძუთი გამოკვების საკითხის გაგრძელებასა და შეწყვეტას ეხება, მაგალითად: *„... და თუკი მოისურვებენ თავი დაენებებინოს ძუძუთი კვებას შეთანხმდნენ და მოითათბირონ, ცოდვად არ ჩაეთვლება არც ერთს...“* (ყურანი- 2:233). შესაბამისად, ბავშვთან და-კავშირებული საკითხების მოგვარება ორივე მშობლის მიერ გაზიარებული პასუხისმგებლობაა, რაც ეყრდნობა იმ საერთო შეთანხმებას და კონსულტაციას, რომელიც ბავშვის ინტერესებს საუკეთესოდ ემსახურება.

ეს შეთანხმება, რომელიც ბავშვის საკითხების გულდასმით განხილვას მოითხოვს, ემსახურება ბავშვის დაცვას და ამგვარად ღმერთის წყალობისა და შემბრა-ლებლობის გამოხატულებაა.

ბავშვის აღზრდა მოითხოვს მშობლებს შორის კონ-სულტაციას, ან მშობლებსა და შვილს შორის კონსულ-ტაციას თუ მას მიღწეული აქვს მოწიფული ასაკისათვის. ასევე რეკომენდირებულია მშობლებს ჰქონდეთ კონ-სულტაციები მოზარდ შვილებთან, რათა შეაჩვიონ ისინი კონსულტაციის პროცესს, როგორც ცხოვრების გზას. გამომდინარე აქედან, კონსულტაციები საჭიროა ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: ქორწინება, ოჯახური საქმეები და ბავშვის აღზრდა, ასევე კონ-ფლიქტური სიტუაციები და უთანხმოებები.

„შურა“ არის მიბაძვის მაგალითი, მაშინაც კი, თუ იგი ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც მანამდე გადაწ-

ყდა, ანდა მათზე პასუხებს, რომლებიც უკვე ცნობილია. კონსულტაციას აქვს განსაზღვრული მიზნები და სარგებელი. ზოგი მათგანი სცდება შეთანხმების ძიებას, მოიცავს ინსტრუქციას, პატივის მიგებას და წარმოადგენს სხვებისთვის მაგალითს, რომ ისწავლონ მათგან და მიბაძონ. თუ უკვე მოგვარებულ საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაცია მოსაწონია და სასარგებლო, იგი უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელია კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც თან სდევს განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები.

კონსულტაცია აუცილებლობას წარმოადგენს პირად საქმებთან დაკავშირებით. მათ შორისაა ცალკეულ ინდივიდებთან, ინდივიდის სხვა ინდივიდებთან ურთიერთობებთან, ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობებთან, მშობელსა და შვილებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, და გამოკვეთილად სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია საზოგადოებრივ საქმეებთან და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით. საზოგადოებრივ სფეროში კონსულტაციის მნიშვნელობა ცხადად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ორ აიაში. ეს აიები გვამცნობს იმათ შესახებ ვისი *„..საქმე მათი ბჭობაა ერთმანეთს შორის...“* (ყურანი- 42:38). ასევე ღმერთი უბრძანებს თავის შუამავალს: *„... დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე“* (ყურანი- 3:159).

ყურანის 42-ე სურაში, მორწმუნე მუსლიმების ფუძემდებლურ მახასიათებლებთან ერთად, ნათლად ნახსენებია კონსულტაცია, რაც მორწმუნე მუსლიმებმა უნდა გამოიყენონ იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც

მათ საერთო ინტერესს წარმოადგენს. სწავლულები ასე-ვე აღიარებენ კონსულტაციის პრაქტიკულ გამოყენების ამ დამოწმებას სხვა მახასიათებლებთან ერთად, რომლე-ბიც მიჩნეულია ისლამის რელიგიის არსებით ელემენტე-ბად და საფუძვლებად.

ყურანის 3:159 აია ღმერთის შუამავლის იმ უნა-რებს განსაზღვრავს, როგორიცაა მეგზურის, განმანათ-ლებლის, მქადაგებლის, ლიდერისა და პიროვნების, რო-მელიც სხვებს ღმერთის რწმენისკენ მოუწოდებს. ეს რო-ლი მოითხოვდა მისგან, რომ ყოფილიყო თავაზიანი, კე-თილი და სხვების მიმართ შემბრალებელი, მათი წარუმა-ტებლობის მიმართ ტოლერანტი და და მათი ცოდვების მიმტევებელი. ეს როლი მას აკისრებდა სხვების მოსაზ-რებების განხილვასა და მათი შეხედულებების გათვა-ლისწინებას. მეტიც, ბრძანება, რომელიც ღმერთის შუა-მავალს მიეწოდა რათა განემარტა კომპანიონებისთვის, ასევე მიმართავს მათ, ვინც მის მსგავსად იყვნენ მეთაუ-რები, ლიდერები და მათ, ვინც სხვებს რწმენისაკენ მო-უწოდებდნენ. ეს აია მიჩნეულია ისლამური მმართველო-ბისა და წინამძღოლობის ფუნდამენტურ პრინციპად მუსლიმ მმართველებსა და მათ მიერ მართულებს შორის ურთიერთობისას.

შუამავლის ერთ-ერთმა თანამოაზრის, აბუ ჰურაᲫას დაკვირვებით, „მე არასოდეს მინახავს არავინ, ვინც ესო-დენ მოწადინებული იყო მიეღო საკუთარი თანამოაზრე-ებისგან რჩევები, ვიდრე ღმერთის შუამავალი“. ისლამუ-რი სამართლის მიხედვით, ბრძანება „მიიღე რჩევები მათგან ყველა საზოგადოებრივ საკითხთან დაკავშირე-ბით“ მიმართულია მმართველების, პრეზიდენტების და

სხვა ძალაუფლებით აღჭურვილებისადმი და სავალდებულოა. ეს სავალდებულო იყო შუამავლისთვის და კიდეევ უფრო მეტად სავალდებულო და შემზღუდავია სხვებისთვის.

ღმერთის სიტყვები, რომლებიც ეხება მათ, „ვისი წესიცაა (ყველა საერთო ზრუნვის საკითხთან დაკავშირებით) ერთმანეთს შორის კონსულტაცია“, გვეუბნება, რომ ყველა საკითხი, რომელიც მთელი თემის საერთო საზრუნავს წარმოადგენს, საერთო კონსულტაციის თემა უნდა იყოს, და არავის, მათ შორის იმამებსა და სხვა ლიდერებს, აქვს ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების ან მოქმედების უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში, კონსულტაციის საჭიროების საფუძველი საერთო ინტერესის, საერთო უფლების ბუნებისგან და გადაწყვეტილების მიღების შედეგად მიღებული პოტენციური სარგებელის ან ზარალის ბუნებისგან გამომდინარეობს.

ყველა შემთხვევაში, სხვისი რჩევის გაზიარება არის ლეგიტიმური, მოსაწონებული და ნიშნავს შუამავლის მაგალითის მიბაძვას. კონსულტაცია არასოდეს დაიყვანება უბრალო, სხვათაგან განურჩეველ საკითხამდე, არამედ წარმოადგენს რეკომენდირებული, სასურველი ქმედების სახეობას. კონსულტაციასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა ტექსტები და ტრადიციები, რომლებშიც საუბარია კონსულტაციაზე და მათზე, ვინც მასშია ჩართული, ვინც ყურადღებას ამახვილებს მასზე და ‘სხვების’ რჩევების საფუძველზე ცდილობს სასურველი შედეგების მიღებას.

შუამავლის მაგალითებზე დაყრდნობით და სწავლულთა დადასტურებით კონსულტაცია (აშ-შურᾶ) გამოსადეგია

პოლიტიკურ და საერო ცხოვრების სფეროებში. იგივე პრინციპით უნდა მოქმედებდეს ყველა, ვისაც უკავია მმართველის ან მოსამართლის პოზიცია. სამი ყველაზე გამორჩეული სფერო, რომელშიც მნიშვნელოვანია კონსულტაცია, არის მმართველობის პოლიტიკური, სამოქალაქო და სამხედრო სფეროები. შუამავლის მიმართ მოწოდება, რათა ჩაერთოს კონსულტაციაში, ინტერპრეტირებულია, როგორც ფართო გამოსაყენებელი მიდგომა მანამდე, სანამ არ გამოვლინდება სხვა, უფრო შეზღუდული ან სპეციფიკური მიდგომის საჭიროება.

თუმცა, სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ კონსულტირება და მათი განხილვა არ არის აუცილებელი, როდესაც ისლამური კანონი შეიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ, დეტალურად აღწერილ წესს.

საპირისპიროდ, სფერო, სადაც კონსულტაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს, იმ წესებთან დაკავშირებითაა, რომელთა შესახებაც არ არსებობს მკაფიო ტექსტი ყურანში, და აქედან გამომდინარე, დასკვნა გამოტანილი უნდა იყოს ანალოგიებით დედუქციის (კიჲას)[3], სამართლებრივი უპირატესობის მინიჭების (ისთიჭსან)[4] და

---

3. **„კიჲას“** (არაბულად: قياس) განსჯა ანალოგიით, შედარება, მსგავსება, ერთი რამის მეორეთი განსაზღვრა ტერმინი „კიჲასი“ ახალი საკითხების ყურანსა და სუნაში არსებულ საკითხებთან შედარებით მათი სტატუსის ანუ მათ მიმართ ისლამის დამოკიდებულების ამოცნობას გულისხმობს. „კიჲასი“ არ არის ახალი დადგენილებების მიღების პროცესი, არამედ ეს არის ძველ და ახალ საკითხებს შორის საერთო თვისებების შედარება და მათი გათვალისწინებით ახალი საკითხების დაზუსტება

4. **„ისთიჭსან“** (არაბულად:استحسان) - „მოწონება”, „უპირატესობა”. ეს მეთოდი გულსიხმობს, რომ საკამათო საკითხების თაობაზე კიასის გამოყენების დროს კრიტერიუმად განისაზღვრა სარგებლობა მუსლიმური თემისათვის: ორი შესაძლო ლოგიკური დასკვნიდან შერჩეულ უნდა იქნეს ის, რომელიც უფრო სასარგებლო და ხელსაყრელია მუსლიმური თემისა და სახელმწიფოსათვის. ეს მეთოდი არის აგრეთვე

საზოგადოების ინტერესზე დაფუძნებული განსჯის (ისთიṣლაჰ) საფუძველზე. იბნ აბდ ალ-ბარი გადმოგვცემს, რომ ერთხელ ‘ალი იბნ აბი ტალიბმა განაცხადა: „მე ვთქვი, ღმერთის შუამავალო, როგორ უნდა მოვიქცეთ ისეთ სიტუაციებში, რომლის შესახებ ყურანში არაფერია განცხადებული და არც შენგან მიღებული მაგალითი მოიძებნება, რომ მას მივსდიოთ?’ შუამავალმა უპასუხა: შეიკრიბეთ მცოდნე მორწმუნეები (ან, მან თქვა, ღვთისმოსავები). ერთმანეთთან კონსულტირებით განიხილეთ სიტუაცია, ნუ დააფუძნებთ თქვენს დასკვნებს მხოლოდ ერთი პიროვნების მოსაზრებაზე“.[5]

იბნ ‘უმარი გადმოგვცემს, რომ „აშ-შურას“ გამოყენებით ჩამოყალიბდა „აზანის“, ანუ ლოცვისათვის მოწოდების ტრადიცია.[6] შუამავალმა ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები თანამოაზრეებთან გაიარა, თუ რა იყო საუკეთესო გზა, რომ მოეწოდებინათ მორწმუნეებისთვის ლოცვისკენ. ის არ დალოდებია და არც უთხოვნია ღმერთისთვის განმარტება ან ახსნა. თუმცა, ეს შუამავლისთვის იყო უჩვეულო შემთხვევა, როდესაც შუამავალმა თანამოაზრეებთან სამართლებრივი წესის მიღების თაობაზე კონსულტაცია გაიარა. ჩვეულებრივად, იგი ღვთიურ გამოცხადებებს იღებდა, რომელიც მსგავსი საკითხების გადაწყვეტისათვის პირველწყაროს წარმო-

ანალოგიით განსჯის საფუძველზე არასწორად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის საშუალება.

5. გადმოცემულია ალ-თირმიზის მიერ ჯიჰადის შესახებ თხზულების ერთ-ერთ ქვეთავში.

6. მიუხედავად ამ ტრადიციის გამომცემთა ჯაჭვის სისუსტისა, გადმოცემის შინაარსი საყოველთაოდაა მიჩნეული ავთენტურად და სარწმუნოდაა მიჩნეული. დასტურად იხ. ასევე აბუ უმარ იუსუფ იბნ აბდ ალ-ბარი, ჯამი ბაიან ალ-ილმ ვა მა იანაბაგიჰი ფი რივაიათიჰი ვა ჰამლიჰი (ბეირუთი, დარ ალ-ფიქრ, თარიღის გარეშე) 2/73.

ადგენდა. თუმცა, ის ასევე ეთათბირებოდა სხვებს ამ-გვარი წესების თაობაზე, რათა შეექმნა პრეცედენტი მათთვის, ვინც მის შემდეგ იცხოვრებდა.

გარდა ამისა, კონსულტაცია მუსლიმის ცხოვრების სამართლებრივი სფეროს არსებითი კომპონენტია - მო-სამართლის დადგენილებები გავლენას ახდენს როგორც ინდივიდზე, ასევე ჯგუფზე, შესაძლოა სახელმწიფოსა და მთავრობებზეც კი. შუამავლის ჰადისები და სხვა ტრადიციები, რომლებიც შეეხება კონსულტაციებს იმ სიტუაციებში, რომლის შესახებ ყურანში არ მოიპოვება პირდაპირი მითითებები, ეყრდნობა მსგავსებას და თა-ვისთავად, დავებსა და სხვა შემთხვევებს, რომელთა გა-დაწყვეტისთვის მოწოდებულნი იყვნენ ხალიფები და შუ-ამავლის სხვა კომოპანიონები. ამასთანავე, იგივე პრინ-ციპი მიესადაგება ყველას, ვისაც უკავია მმართველის ან მოსამართლის პოზიცია.

როდესაც დავა იწყებოდა აბუ ბაქრ ას-ṣიდდīკის წინაშე, ის პირველ რიგში მიმართავდა ყურანს. თუ იგი მოიძიებდა შეფასების საფუძველს, ის პრობლემების შე-საბამის დადგენილებას იღებდა. ხოლო თუ ყურანში ვე-რაფერს მოიძიებდა, ის გადაამოწმებდა, ჰქონდა თუ არა შუამავალს დანატოვარი რაიმე პრეცედენტი, რომელიც კონკრეტულ უთანხმოებასთან მიმართებით რელევანტუ-რი იქნებოდა. თუ აქ იპოვიდა, ამის საფუძველზე[7] შესა-ბამის დადგენილებას მიიღებდა. სხვა შემთხვევაში, იგი გადიოდა ხალხთან და მათ პრობლემის შესახებ დაეკით-ხებოდა. თუ ამ უკანასკნელითაც წამოჭრილი საკითხის

---

7. Muhammad Ruwwas Qalaji, Mawsuat Fiqh Abi Bakr al-Siddik (Beirut: Daral-Nafa'is, 1994), p.155.

შესახებ ვერანაირი პასუხის მიღება ვერ ხდებოდა, მაშინ ის მუსლიმ ლიდერებს და სწავლულებს მოიწვევდა და მათ რჩევებს სთხოვდა. და თუ ეს შეკრებილნი ვერდიქ-ტზე შეთანხმდებოდნენ, მაშინ ის თავის გადაწყვეტილე-ბას ამ შეთანხმებულ აზრზე დააფუძნებდა.

კონსულტაციის პრინციპის შექმნაზე, მის ღირსე-ბებსა და მნიშვნელობაზე ყურადღების ყურადღების გა-მახვილებასთან ერთად, ისლამი მუსლიმებს უბიძგებს და მოუწოდებს მის პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვას. იმავდროულად, ის უფლებას აძლევს მუსლიმურ თემს პრინციპი გამოიყენოს, მისი სისტემატიზაცია და ადაპ-ტაცია მოახდინოს სხვადასხვა დროში, ადგილზე, სფე-როებსა და გარემოებებში დამოუკიდებელი განსჯითა და სანიმუშო მენეჯმენტით. გარდა ამისა, დეტალიზებული პრაქტიკული საშუალებები კონსულტაციის პრინციპის გამოსაყენებლად, რომელიც მუსლიმების ცხოვრებას ეხება, ასევე თავადაც ექვემდებარება კონსულტაციას, როგორიცაა სახელმწიფოს ყველა ორგანიზაციული და ადმინისტრაციული საკითხები, საზოგადოება და უფრო მცირე მუსლიმური თემები.

კონსულტაციის საშუალებით გარკვეული ფუნქციე-ბი და მიზნებია შესრულებული, რის გამოც ჩამოყალიბ-და ისლამში კონსულტაცია. ჰანაფიტმა იურისტმა აბუ ბაქრ ალ-ჯასსასმა გამოავლინა კონსულტაციის რამდე-ნიმე სარგებელი ისლამში: დამოუკიდებელი განსჯის გზით, ის გვაწვდის კონკრეტული სიტუაციის შესახებ მკაფიო დადგენილებას, რომელიც საღვთო ტექსტებში პირდაპირ არ არის მოცემული; იგი ხაზს უსვამს შუამავ-ლის თანამოაზრეების ღირსეულ სტატუსს, რომლებსაც

ჰქონდათ სათანადო კვალიფიკაცია, რათა ჩართულიყვნენ დამოუკიდებელ მსჯელობაში. შესაბამისად, მათი ხედვა ღირებული, პრაქტიკაში განხორციელებადი და მისაბაძია; ის ადამიანების მიერ განსჯის საშუალებით გადაწყვეტილების მიღებას ამართლებს.[8]

მალიქიტი იურისტი აბუ ბაქრ იბნ ალ-ʻარაბი აცხადებს, რომ კონსულტაციის სარგებელი უშვებს ქმედებას, რომელიც ეყრდნობა ისეთ რამეს, რაც ცნობილია. ჭეშმარიტება ხალხის მცდარი სურვილებისგან განთავისუფლებულია. ადამიანების გონებისა და განსჯის შედეგად დგება საუკეთესო შედეგები.[9]

ზოგადად, „შურა“ (კონსულტაცია) იძლევა შემდეგ სარგებელს:

- მოქმედების სწორი ან ყველაზე სწორი გეგმის ჩამოყალიბება;
- სუბიექტურობის და ეგოისტური ახირებების ტირანიისგან გათავისუფლება;
- თვითნებობისა და ტირანიის შეზღუდვა;
- თავმდაბლობის სწავლება;
- ყველასთვის დამსახურების შესაბამისად მიცემა;
- თავისუფლების და ინიციატივის გამოვლენის ატმოსფეროს შექმნის ხელშეწყობა;
- აზროვნებისა და დაგეგმარების უნარის განვითარების ხელშეწყობა;
- ქმედებისა და მხარდაჭერის მზაობის გაზრდა;
- კეთილი ნების და ერთიანობის ხელშეწყობა;

---

8. Abu Bakr al-Jassas, Ahkam al-Qur’an, 2/41.

9. Abu Bakr ibn al-Arabi, Aridat Ahvadis Fi Sharh Al tirmizi (Beirut:Dar al-Fikr li al tibiah wa al-Nashr wa al-Tawzig, no date), 7/206.

- არასასურველი შედეგების მიღების მზადყოფნა მათი ეფექტურად გადაწყვეტისთვის.

თავი მეორე

კონსულტაციის პრაქტიკის ძირითადი საფუძვლები

ისლამური სამართალი კონსულტაციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით კონკრეტულ წესებს ან შეზღუდვებს არ ადგენს. პირიქით, ისლამი ამ საკითხებს ადამიანების შეხედულებების, არჩევანისა და საერთო განსჯის საკითხად ტოვებს. ყოვლისმომცველობა და ზოგადი ხასიათი ის მახასიათებლებია, რომლებიც ვლინდება კონსულტაციის აღმწერ ტრადიციულ ისლამურ ტექსტებში. მიიჩნევა, რომ კონსულტაციას, როგორც ასეთს, აქვს ფართო და ზოგადი გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წამოჭრილი საკითხებს განსაკუთრებით ვიწრო, სპეციალიზებული მნიშვნელობა აქვთ და მხოლოდ მათ, ვისაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, აქვთ უნარი საჭირო რჩევის მიცემისა.

საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებული კონსულტაცია გულისხმობს სახელმწიფოს, საზოგადოების, თემისა და ჯგუფის საქმეების დაგეგმარებასა და გაადვილებას. კონსულტაცია ასევე მოუწოდებს უთვალავი ორგანიზაციული აღმასრულებელი პროცედურის მიღებისკენ: მას ესაჭიროება სისტემა ან დეტალურად გაწერილი წესების ნაკრები, რომელთა შესახებაც ისლამური სამართალი დუმს. შესაბამისად, ღიად არის დატოვებული გზა კრეატიული აზროვნებისთვის ისლამის საკანონმდებლო პრინციპების სფეროში.

ზოგიერთი ორგანიზაციული საბაზისო ან საყოველთაო ცნებები უკავშირდება კონსულტაციის პრაქტიკის დანერგვას საზოგადოებრივ საქმეთა სფეროში და მათ კოლექტიურ მენეჯმენტს. ასეთი საყოველთაო ცნებები, როგორიცაა კონსულტაციის პრაქტიკის დეტალები, არ არის მოცემული ისლამურ სამართალში. თუმცა, ისინი შეიძლება მომდინარეობდეს, ინდუქციისა და გულდასმით განხილვის პროცესის საშუალებით, ისლამური სამართლის ტექსტებიდან და კონსულტაციის პრაქტიკიდან, რომელიც არსებობდა შუამავლისა და მართლმორწმუნე ხალიფების ხანებში.

ისლამურ ცხოვრებაში კონსულტაციის როლის, სფეროებისა და ფუნქციის დავიწროებულმა კონცეპტუალიზაციამ, რომელიც ეფუძნებოდა ტრადიციული ტექსტების მკაცრ ინტერპრეტაციასა და გამოყენებას, სავარუდოდ გამოავლინა ტენდენცია მათი წრის შემცირებისა, ვინც ჩართული იყო კონსულტაციის პროცესში, იმის დაშვებით, რომ კონსულტაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ მხოლოდ შუამავალსა და ორ „ṣაჰ̣ᾱბს“[10] შორის. სინამდვილეში, ღმერთის შუამავალი კონსულტაციას გადიოდა უამრავ თანამოაზრესთან, ისე როგორც ჯგუფებთან და ინდივიდებთანაც. ჩვენ გვაქვს არაერთი ჩანაწერი, როდესაც იგი ამბობდა, „ხალხო, რჩევა მომეცით მე!“

---

10. **„ას-ṣაჰ̣ᾱბᾱ“** (არაბულად: الصحابة) მუჰამად შუამავლის მეგობრები, თანამოაზრეები, კომპანიონები, ვინც შუამავალს ნდობა გამოუცხადა, ირწმუნა ისლამი და სწავლობდა მისგან. ტექსტში გამოყენებულია ქართულ ისლამურ ტერმინოლოგიაში უკვე დამკვიდრებული სიტყვა „ṣაჰ̣ᾱბ“ მრავლობითში „საჰაბეები“ ასევე „თანამოაზრეები“ .

ყურანის ორი აია, რომელიც ქმნის კონსულტაციის პრაქტიკის საფუძველს, გვთავაზობს კონსულტაციის ფართო გაგებას და მორწმუნეთა შორის მისი გამოყენების ბევრ შესაძლებლობას, ქალების ჩათვლით. ფართო საზოგადოებრივი კონსულტაციების პრინციპი მიესადაგება ყველა იურიდიულ დისკურსსა და განზოგადებებს, თუ არ არსებობს რაიმე სპეციფიკური მტკიცებულება გამონაკლისის დასაშვებად. ისლამური სამართალი ეხება მამაკაცსაც და ქალსაც, თუნდაც რომ მამრობითი სქესის ნაცვალსახელი იყოს გამოყენებული მრავლობითში თუ მხოლობითში. აგრეთვე, არსებობს არაერთი მაგალითი, როცა შუამავალმა რჩევა სთხოვა კონკრეტულად ქალ თანამოაზრეებს, სხვა შემთხვევებში კი — მამაკაცებსაც და ქალებსაც ერთად ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით, როგორიცაა ომი, მორალი, ან ისლამის პრაქტიკების ფორმულირება.

ყურანში ქალების კონსულტაციაში ჩართულობის ორი მაგალითია მოცემული, ორივე მათგანის კონტექსტიდან ჩანს, რომ ამგვარი ჩართულობა იმსახურებს ღვთიური მოწონებას და თანხმობას. პირველია გამოცემა საბას[11] დედოფალ ბალქისის[12] შესახებ, რომელიც სხვებისგან რჩევას ეძებს, და მეორე არის ქალის შესახებ, რომელმაც ურჩია მამას, რომ დაექირავებინა მოსე[13], როგორც სანდო პიროვნება. ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან ქალის საჯარო საკონსულტაციო საბჭოებში

---

11. საბას (შებას) ტომი, რომელიც ცხოვროდენენ ეთიოპიის და იემენის ტერიტორიაზე. ტომის მმართველი იყო დედოფალი, რომელსაც ერთი ვერსიით ერქვა ბალქისი. (სხვადასხვა წყაროებში მოიხსენიება, ბალყისი, ბილკისი)

12. ყურანი- 27:29—35.

13. ყურანი -28:26

(მაგ. პარლამენტებში) წევრობას, ეყრდნობიან იმ მოსაზრებას, რომ ქალს არა აქვს უფლება საზოგადოებრივ სფეროში ეჭიროს სხვებთან შედარებით აღმატებული პოზიცია. თუმცა, ამ ხედვის სიზუსტის მხარდაჭერა არც ისე მარტივია, რადგან ქალის მმართველობა პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში არ შეიძლება აღიქმებოდეს არაეფექტურად მართულთა მიერ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი ქალია.

კონსულტაცია შეგნებულად ან უნებლიედ შეიძლება იყოს ლიმიტირებული დროში, ასევე გარკვეულ ადამიანებთან მიმართებით და სხვების გამოკლებით. მაშინ, როდესაც არ არსებობს მთლიანი თემის ჩართვის აუცილებლობის საფუძველი, კონსულტაცია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ კონკრეტული ადამიანების პრეროგატივაა. სწავლულების უთქვამთ, რომ ამგვარ მრჩევლებს მოეთხოვებათ კეთილსინდისიერება, ცოდნა, გამოცდილება და ისინი უნდა შეირჩნენ არჩევნების ან დანიშვნის გზით. დანიშვნის მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ კომპეტენტური, კვალიფიცირებული ინდივიდების შერჩევის უფლებას იძლევა, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი და დაფასებულნი არ არიან. ყურანის გამოცხადება, სუნა და მათი კომენტარები მიუთითებს, რომ შესაძლებელია ასევე ამ ორი მეთოდის კომბინირება არჩევნებისთვის პრიორიტეტის მინიჭებით.

როდესაც კონსულტაციისთვის საკმარისი ადამიანები შეიკრიბებიან და კონსულტაციის მიზნები განხორციელდება, საკონსულტაციო პროცესი შემდგომ გაგრძელებას აღარ საჭიროებს და არც მასში ჩართული ადამი-

ანების რაოდენობის გაფართოებაა სასურველი. როგორც ღმერთი შუამავალს მოუწოდებს, *„დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე“* (ყურანი- 3:159).

განსაკუთრებით სპეციალიზებულ საკითხებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ კონსულტაციაში ჩართული უნდა იყვნენ ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის ინდივიდები, ვისაც ექნება საუკეთესო ცოდნა და ღირსებები საკუთარი წვლილის შესატანად. ასეთი საკითხები ეხება სამეცნიერო, საკანონმდებლო, სასამართლო, ინდუსტრიულ, ეკონომიკურ და სამხედრო გეგმებს. ამ კონკრეტული საკითხების კონსულტაცია სულ უფრო მზარდად მოიცავს ცოდნის გაცვლას, საკითხთა ასპექტების ანალიზსა და განხილვას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება შესაბამისი შეფასება და დაგეგმვა. შესაბამისად, საკითხების ვრცელი და სულ უფრო მზარდი რაოდენობის შესახებ საჭირო კონსულტაცია უნდა დაეკისროს მხოლოდ მათ, ვისაც ამ საკითხების გადაწყვეტისთვის სათანადო კვალიფიკაცია გააჩნია.

მუსლიმურ კონტექსტში, კონსულტაციური საბჭო *(მაჯლის აშ-შურა)* სახელმწიფოს მეთაურსა და მის მთავრობასთან ერთად მოქმედებს. ასეთი საბჭოები ამჟამად გახდა მუდმივი, მთავარი ინსტიტუტები, როგორც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, ისე ისლამური სახელმწიფოების უმრავლესობაში. ისინი შედგენილია მთავარი მრჩევლებით, რომლებიც ისლამური კონსულტაციის პრინციპების თანახმად უნდა იყვნენ განათლებულნი, კეთილსინდისიერნი და გამოცდილნნი.

დღეისათვის ფართო დისკუსიის საკითხია ის, რომ კონსულტაციის პროცესის შედეგი სავალდებულო ხასიათისაა თუ უბრალოდ რჩევას წარმოადგენს. როგორ უნდა მივუდგეთ კონსულტაციის საბჭოების უმრავლესობის მოსაზრებას და გადაწყვეტილებას, რომელიც კონსულტაციის საშუალებით იქნა მიღებული და უმრავლესობის მიერაა მხარდაჭერილი? ადრეული მუსლიმი სწავლულები კონსულტაციის შედეგს ლიდერებისთვის რჩევის სახით განიხილავდნენ, ხოლო უფრო თანამედროვე სწავლულები და მოზროვნეები იხრებიან იმ აზრისკენ, რომ ლიდერისთვის ან ძალაუფლების მქონე და ხელისუფლების სათავეში მყოფი პირებისთვის, რომლებიც მრჩეველთა მოსაზრებებს საჭიროებენ, ვალდებული არიან მრჩეველთა უმრავლესობის შეთანხმების შედეგი განახორციელონ (სავალდებულო კონსულტაცია).

მაღალი სანდოობის მქონე ჰადისებში ფუნდამენტური უპირატესობა ენიჭება იმ თვალსაზრისის მიღებას, რომელიც კონსულტაციაში მონაწილე უმრავლესობის შეთანხმებულ აზრს წარმოადგენს. იგივე შედეგი შეიძლება მომდინარეობდეს ტრადიციისგან, რომლის თანახმადაც ღმერთის შუამავალმა აბუ ბაქრს და ომარს მიმართა: „თუ ორივე თქვენგანი მოცემულ საკითხზე შეთანხმდით, მე არ შეგეკამათებით რჩევაზე, რომელსაც თქვენგან მივიღებ.“9 რაც შეეხება მოსაზრებებს, ღირსეული (სანდო) უმრავლესობის შეხედულება გათავისებული და მიღებული უნდა იყოს საკონსულტაციო საბჭოებისა და გადაწყვეტილების მიღების ძალით აღჭურვილი ორგანოების მიერ.

ყურანი არ შეიცავს საკონსულტაციო ერთობების მუშაობის წარმართვისა თუ მათში ჩართვის მკაფიო წესებს. როდესაც ზოგიერთ ადგილზე ყურანი გამოკვეთს უმრავლესობის ან გარკვეული უმრავლესობების აკრიტიკებს, ასევე არის არაერთი ადგილი, როდესაც ჩანს „უხუცესი“ და „ცნობილი“ ადამიანების კრიტიკაც, რომლებსაც გზას დიდად აცდენილებად და შეცდომაში შემყვანებად აღიწერებიან. შუამავლის ჰადისები და სხვა ტრადიციები ასევე გვაფრთხილებს ისლამური საზოგადოების მმართველი ელიტის კორუფციის შესახებ. სახელდობრ, სწავლულებსა და პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ თემის განადგურება, ხოლო მათი სამართლიანობითა და ღირსებით ასევე შეუძლიათ მისი რეფორმირება და ღვთისგან დალოცვილად გარდაქმნა. ყურანში მცირე და დიდ რაოდენობას შორის შეპირისპირებასა და შედარებას კი არ ვხდებით, არამედ კარგსა და ცუდს შორის არჩევანს.

ყურანის აია, რომლის დამოწმებაც დღესაც ხშირად ხდება, კერძოდ 42:38, რომელიც მოუწოდებს მათ, “რომელთა წესიც [ყველა საერთო საკითხთან დაკავშირებით] *„..ბჭობაა ერთმანეთს შორის...“* გვაცნობს, რომ ჭეშმარიტი კონსულტაციის შედეგად მიღებული ხედვა საერთოა, შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება საერთოა და არა ინდივიდუალური.

საბას დედოფალი ბელქისის თქმით, კეთილშობილი მრჩევლების გარეშე იგი ვერასოდეს მიიღებდა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. ყურანში ვერაფერს ვიპოვით ისეთს, რაც ასეთ ქმედებას ეწინააღმდეგება ან აუქმებს მის ვალიდობას. მსგავსად, რასაც ვპოულობთ შუამავ-

ლის ცხოვრების მაგალითებში ადასტურებს დედოფლის სიტყვების სისწორეს. ყურანში საბას დედოფალი გამოყვანილია, როგორც მაგალითი სანაქებო ქცევისა და კარგი მმართველობისა, რომელის სიცოცხლე სასურველ დასასრულამდე მივიდა. დედოფლის სიტყვები და მოქმედებები ადასტურებს, რომ იგი იმსახურებდა უფლებამოსილებას, რომელიც კონსულტაციის საბჭომ მიანიჭა და რომ იგი იყო გამოცდილი, გაგების უნარის მქონე და ბრძენი ქალი.

შუამავლის მიერ მისი ცხოვრების მანძილზე გამოყენებული ძლიერი საყრდენით უზრუნველყოფს ცნებას, რომლის თანახმადაც საკონსულტაციო პროცესი სრულდება იმ შეხედულების მიღებითა და გამოყენებით, რომელიც ეფუძნება კონსულტაციის პროცესში ჩართული უმრავლესობის გადაწყვეტილებას. ბადრის ბრძოლისას შუამავალს არ სურდა ჩართულიყო ბრძოლაში მანამდე, სანამ არ დარწმუნდებოდა თავისი კომპანიონების, ემიგრანტებისა და მომხრეების უმრავლესობის მხარდაჭერაში. ხოლო უჰუდის ბრძოლისას, უმრავლესობა მისი თავდაცვითი სტრატეგიის წინააღმდეგ წავიდა. შუამავალმა სხვების აზრი მოისმინა და უმრავლესობის შემოთავაზების შესაბამისად იმოქმედა. ეს კონსულტაცია და მისი შედეგი ჩვენი დროის დიდ საკამათო საკითხს წარმოადგენს, რადგან კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს უმრავლესობის გადაწყვეტილება მიღებული თუ უარყოფილი.

ერთი ინტერპრეტაციით, შუამავალმა საკუთარ თვალსაზრისზე უარი თქვა თავისი კომპანიონების პოზიციის სასარგებლოდ. ამის შედეგად, საკითხი ვეტოს,

გაუქმებისა და პროტესტის გარეშე გადაწყდა. რეალურად, ამის შემდეგ დაუყოვნებლივ მოხდა საღვთო ბრძანების "*„მიიღე რჩევები მათგან ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოებას უკავშირდება"* ზეგარდმოვლენა. მეორე ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ უმრავლესობის მოსაზრებების გაზიარება, როცა იგი იმამს უპირისპირდება, არასწორია და გაუმართლებელი ქმედებაა. ამ უკანასკნელის თანახმად, მოვლენათა გააზრებით, ომში მუსლიმების მარცხი ბრძოლაში მათთვის გაკვეთილი გახდა. მეორე ინტერპრეტაცია არ ეთანხმება მკაფიო, ნათელ მნიშვნელობას მოვლენისა და ამის ნაცვლად ეფუძნება მტკიცებას, რომელიც უარყოფს მის თვალსაჩინო მნიშვნელობას.

არც კომპანიონებს, რომლებიც ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ და არც შუამავალს, რომელიც არასოდეს უშვებდა გაფრთხილების, სწავლების და რჩევის მიცემის შესაძლებლობას ხელიდან, არ უხსენებიათ ეს, როგორც დამარცხების მიზეზი. დამატებით, საკუთრივ ყურანში დეტალურადაა განხილული ეს ბრძოლა და მისი შედეგები, თუმცა ერთხელაც არ არის ნახსნები მისი ამგვარი ინტერპრეტაცია.

შუამავლის ქმედება, რომელსაც ხშირად მიმართავდა კონსულტაციის პრაქტიკას, ისე როგორც ხშირ შემთხვევაში იგი კონსულტაციებს არ გადიოდა და სხვათა მოსაზრებების მოსმენას არ ელოდებოდა, სწორედ იმის დასტურია, რასაც უნდა ველოდოთ მავანისგან, რომელიც ღმერთის შუამავალია, იღებს საღვთო გამოცხადებას და ბრძანებებს. მაგრამ ღვთიური ბრძანების არარ-

სებობის შემთხვევაში, ის არ ყოყმანობდა, რომ კონსულ-ტაციისთვის მიემართა სხვებისთვის.

უმრავლესობის იდეის პატივისცემა, არც ახალია და არც უცხო ჩვენი მუსლიმი კულტურისა და სამართლებრივი სისტემისათვის. მას ღრმა ფესვები აქვს გამ-ჯდარი ისლამურ საზოგადოებაში, აზროვნებაში, სამარ-თლებრივ პრაქტიკაში. უმრავლესობისთვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭების პრინციპი მხარდაჭერილი იყო მუსლიმი სწავლულების მიერ ყველაზე ადრეული ხანები-დან. მაგალითად, ჰადისის მკვლევრები უპირატესობას ანიჭებენ იმ გადმოცემებს, რომელსაც რაოდენობრივად მეტი გადმომცემი უჭერდა მხარს. ასევე, სამართალ-მცოდნეები და იურისპრუდენციის პრინციპების მკვლევ-რები და იურისტები უპირატესობას ანიჭებდნენ იმ სა-მართლებრივ ინტერპრეტაციებს, რომელთაც რაოდე-ნობრივად უფრო მეტი მეცნიერი და მოაზროვნე უჭერ-და მხარს. თუ სწავლულები კონკრეტულ საკითხზე ვერ თანხმდებიან, მაშინ ყველაზე გამართლებული მეთოდია უმრავლესობის შემოთავაზებული ხედვის მიღება. იგივე პრინციპი მიესადაგება კომპანიონების მოსაზრებებსაც.

ისინი, რომელთაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებით, იმ ბილიკის მეგზურნი არიან, რომელიც მიუძღვება სამართლიანობა-სა და ჭეშმარიტებისაკენ. ისინი არიან მეგზურები, რომ-ლებიც აღიქვამენ ყურანისა და სუნას მოთხოვნებს და იმ განზრახვასა და მიზანს, რაც საფუძვლად უდევს მათ. ჭეშმარიტების და სამართლიანობის უზრუნველყოფა უნ-და მოხდეს, თუ ყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც, უმრავლესობის მიერ.

ასეთი მონაცემები გამომდინარეობს ყურანიდან, შუამავლის ცხოვრებიდან და მართლმორწმუნე ხალიფების მაგალითებიდან. ასევე, იმ პრინციპებისგან, რომელიც შემუშავდა მუსლიმი იურისტებისა და მკვლევრების მიერ, რომლებმაც თავიანთი თავი ისლამის იურისპრუდენციის *(უსულიდ-ფუნ)* და ჰადისების პრინციპების შესწავლას მიუძღვნეს.

მესამე თავი

ისლამური კონსულტაციის მიმოხილვა მისი დასაბამიდან დაწყებული

ამ თავში თვალია მიდევნებული მუსლიმი თემის თავდაპირველი საკონსულტაციო გამოცდილებებისათვის, რათა ნათელი გახდეს თუ როგორი ფორმით ხორციელდებოდა იგი შუამავლისა და კეთილმორწმუნე ხალიფების სიცოცხლის მანძილზე და შემდგომ პერიოდში, როდესაც კონსულტაციის როლმა ისლამური თემის ცხოვრებაში თვალსაჩინო რეგრესი განიცადა. ორი ფუძემდებლური პერიოდი იძლევა კონსულტაციის გაკვეთილებს დღევანდელობისთვის, ისე როგორც ამ გამოცდილებების მახასიათებლებს, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია, მაინც საჭიროებს მხარდაჭერას და დამატებებს მუსლიმთა ცხოვრების სხვა სფეროებიდან.

ადრეულ მუსლიმურ თემში და მის საწყის მდგომარეობაში კონსულტაცია განაპირობებდა ძალას, სიცოც-

ხლისუნარიანობას და ერთიანობას. დღეს ისლამის რეფორმატორული მოძრაობები შთაგონებას იღებენ ამ დახვეწილი და ბრძნული მოდელიდან, რომ გაუმკლავდნენ თანამედროვე ეპოქის სპეციფიკურ გამოწვევებს. შესაბამისად, ჩვენ დღეს არსებული სიტუაციები უნდა ჩასვათ ისლამური სამართლის კონტექსტში, რომელიც ჩვენთვის ავტორიტეტულ წყაროს შეადგენს.

ადრეული ისლამის კონსულტაციური გამოცდილება კონკრეტულ მაგალითებს გვთავაზობს. კონსულტაცია შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც სპონტანური და ინსტიქტური პასუხი გონიერი და მგრძნობიარე ინდივიდების მხრიდან, რომელიც ლეგიტიმიზებულია ისლამური სამართლით და ინსტიტუციონალიზებულია, როგორც გონივრული ისლამური პრაქტიკული მოღვაწეობის მოთხოვნა. ამასთანავე, ისლამურმა სამართალმა მოახდინა მრავალი ინტიუციური ადამიანური პრაქტიკისა და პრინციპების ლეგიტიმაცია, რომლებიც ემსახურებიან საერთო კეთილდღეობას. ისლამის ადრეულ პერიოდში კონსულტაცია იყო ინტენსიური და ყოვლისმომცველი, იგი ეხებოდა როგორც მნიშვნელოვან, ისე წვრილმან საკითხებსაც, აღსავსე იყო მიზნების სერიოზულობითა და მაღალი ზნეობრიობით. შუამავლის კონსულტაციის პრაქტიკას ასევე იყენებდნენ მისი კომპანიონები და მართლმორწმუნე ხალიფები.

უმთავრესი კონსულტაცია გაიმართა ინდივიდებსა და მცირე ჯგუფებს შორის, რომელიც ღმერთის შუამავლის მემკვიდრის არჩევისთვის მზადებას უკავშირდებოდა, და მისი შედეგი გახდა აბუ ბაქრისთვის ერთგულების შეფიცვა. აბუ ბაქრის, ქველი და სულით ძლიერი

ლიდერის არჩევას წინ უძღოდა გულწრფელად და ღიად მოსაზრებების გაცვლა, დისკუსია. როდესაც აბუ ბაქრი მძიმედ გახდა ავად, მან დაიწყო კონსულტაციები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იქნებოდა მისი გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრე. რის საფუძველზეც, საერთო გადაწყვეტილებით 'უმარი დაინიშნა მემკვიდრედ. როდესაც 'უმარი დაჭრეს და სიკვდილის პირას იყო, იგი მოინახულეს, და მოსთხოვეს სთხოვეს გამოეთქვა ნება და ანდერძით დაენიშნა მემკვიდრე, როგორც ეს აბუ ბაქრმა გააკეთა. 'უმარმა უპასუხა, *„ამ მოვალეობის შემსრულებლად, მე არავინ ვიცი უფრო ღირსეული, ვიდრე ისინი, ვისაც შეეხო ალლაჰის შუამავლის წყალობა მისი გარდაცვალების დროს“*

ხალიფა 'უმარმა დანიშნა ექვსი პიროვნება, რომლებსაც დაავალა მისი მემკვიდრის შერჩევა, მისი არჩევანი დაფუძნებული მყარ საფუძველზე, რადგანაც მისი არჩევანის კრიტერიუმს წარმოადგენდა კერძოდ ამ ექვსი მამაკაცის მოწონების ღმერთის შუამავლის პირადი ბეჭდით დადასტურება. ეს ადამიანები იყვნენ ლიდერები და ბელადები, რომლებიც მუსლიმური თემის მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც კონსულტაციას საჭიროებდა, უკავშირდებოდა დაპყრობილი ტერიტორიების განკარგვას - სამართლებრივი საკითხი, რომელსაც ჰქონდა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური განზომილება, და ის კამათის საკითხს წარმოადგენდა კომპანიონებს შორის. როდესაც 'უმარს, მეომრებსა და მათ წარმომადგენლებს არ შესწევდათ უნარი ისეთი გადაწყვეტილების მიღებისა, რომელზეც ყველას შეეძლო

დათანხმება, ამ საკითხის განხილველად სანდო მრჩევლებს მიმართავდნენ. ტერიტორიების დაყოფის პრაქტიკის გაუქმების იდეას, რომელიც ‘უმარს ეკუთვნოდა, მცოდნე კომპანიონების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

ეს ადრეული პერიოდი და მასთან ასოცირებული კონსულტაციური პრაქტიკა ხასიათდებოდა სხვებისგან რჩევის მიღების შთამბეჭდავი მზადყოფნით, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებით, ინიციატივების გამოვლენით, გულწრფელობით, მიუკერძოებლობით, ნდობით, სამართლიანობით, ორგანიზაციული უბრალოებით, და არსებული ურთიერთობის ბუნების შენარჩუნებისათვის მოქნილობით. კონსულტაციის კულტურის ადრეული მაგალითებია ის, რომ აბუ̄ ბაქრ̄ და ‘უმარი არასოდეს მიიღებდნენ სამართლებრივ საკითხებზე რაიმე დადგენილებას, თუ არ შეკრებდნენ მუსლიმი თემის ლიდერებს და საკითხის შესახებ მათთან წინასწარ კონსულტაციას არ გაივლიდნენ.

მართმორწმუნე ხალიფების ხანიდან, რომელიც თავისთავად მოციქულის ეპოქის გაგრძელებას წარმოადგენდა, უმაიჲანთა პერიოდში ტრანზიციამ მუსლიმურ თემში პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ცვლილებები გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმთა მიღწევები სწრაფად გრძელდებოდა სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა: დოქტრინა, კულტურა, პოლიტიკა, ცოდნა, სამხედრო საკითხები; პოლიტიკური სისტემის ცვლილებამ ფრთხილად მოქმედი სახალიფოდან, რომელიც სხვებისგან რჩევის მიღების სიბრძნეს ეფუძნებოდა, გამოიწვია დიქტატორული სახალიფოს შექმნა, რომელიც ეფუძნებოდა დინასტიურ მემკვიდრეობას. ამ უკანასკნელმა კი

მუსლიმ საზოგადოებას ღრმა ჭრილობა მიაყენა, რომ-ლის მოშუშება დიდ დროს მოითხოვდა.

ამ ცვლილების, რომელიც თავდაპირველად ისლა-მური სახელმწიფო საფუძველს შეეხო, ხოლო შემდეგ გზა გაიკაფა მთლიანად ისლამურ თემში, ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი კონსულტაციის პრაქტიკა გახდა, რომელიც შემოტანილი და მოწონებული იყო ყურანით, და რომელიც როგორც შუამავლის, ისე მის შემდეგ მარ-თლმორწმუნე ხალიფების ცხოვრების გზას წარმოადგენ-და.

კონსულტაციის პრაქტიკა ორგანიზაციისა და რე-გულაციის ნაკლებობას განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმმა თემმა და სახელმწიფომ უმთავრესი ცვლილებები განიცადა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგა-ტიური, იგი საჭიროებდა ორგანიზებული გეგმების, ინ-სტიტუციების, და სისტემების დანერგვასა და განვითა-რებას ისლამური ცხოვრების სხვა დანარჩენ სფეროებში. ყველა სტრუქტურის, სისტემის, მოქმედების მეთოდების მდგრად განვითარებას მოჰყვა მართლმორწმუნე ხალი-ფების ეპოქაში ისლამური სახელმწიფოს კონსოლიდაცია და გაფართოება. განვითარება ზოგჯერ ხდებოდა სხვა ერების გამოცდილების გაზიარებისა და გამეორების შე-დეგად, სხვა შემთხვევებში კი კრეატიული ინოვაციების შედეგი, რომლებიც ისლამურ წყაროებსა და პრინციპებს ეფუძნებოდა. ამ გზით ისლამურმა სახელმწიფომ მიიღო ახალი, გაუმჯობესებული ორგანიზაციული სტრუქტუ-რები პოლიტიკურ, ფინანსურ, ადმინისტრაციულ, სამ-ხედრო, საგანმანათლებლო, სამართლებრივ და სოცია-ლურ სფეროებში.

მუსლიმური სახელმწიფოები და საზოგადოებები ქმნიდნენ და აუმჯობესებდნენ სისტემებს და წესრიგს საკუთარი სულიერი და მატერიალური მოთხოვნების შესატყვისად. თუმცა, კონსულტაციას არ მიუღია გარკვეული გეგმისა თუ სისტემის ფორმა. ძალისხმევა უნდა მიმართულიყო კონსულტაციის მარტივი, დაუგეგმავი და მოქნილი ფორმის, რაც ახასიათებდა ადრეული ხანის ისლამს, ტრანზიციისკენ დეტალური, რეგულირებული და მაღალ დონეზე ორგანიზებული პრაქტიკისკენ, რომელიც უკეთესად მიესადაგებოდა როგორც ცხოვრების მდგრად განვითარებას, ისე მუსლიმური თემის მიერ შექმნილ და შემუშავებულ სამართლებრივ ფუნქციებსა და წესრიგს.

მუსლიმი თემის პოლიტიკური და სულიერი ლიდერების არჩევის პროცესიც კი ამჟამად აბსოლუტურად გამოცალკევებულია კონსულტაციის სფეროსგან, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მცირე გამონაკლისი შემთხვევების გარდა, კონსულტაცია მისი ჭეშმარიტი და სისტემური ფორმით არ გამოიყენებოდა პოლიტიკური კუთხით. ნაცვლად ამისა, ძალაუფლების სათავეში მოსვლა ხდებოდა მემკვიდრეობით ან დაპყრობითა და უზურპაციით. მმართველობითი საკითხები მთლიანად ერთი მმართველის ხელთ იყო მოქცეული, რომლის პირადი მოთხოვნილებები, ინტერესები და განწყობა ყველაფერს განსაზღვრავდა. ეს წარმოადგენდა პოლიტიკური მმართველობის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას.

შესაძლოა, საუკეთესო, ხანგრძლივი და მაღალ დონეზე განვითარებული კონსულტაციის გამოყენება ისლა-

მის ისტორიაში სამართლებრივ სისტემაში მოიპოვება. სამართლებრივი საკითხების განხილვისას სხვებისთვის რჩევის მისაღებად მიმართვის პრეცედენტი მომდინარეობს მართლმორწმუნე ხალიფებისგან, განსაკუთრებით ‘უმარისა და ‘უსმანისგან. სამართლებრივი კონსულტაციის ამ ძველმა ფორმამ უმაღლეს დონეზე სისტემატიზებული ფორმა მიიღო, განსაკუთრებით ანდალუსიასა და მაროკოში, სადაც ის გახდა სასამართლო სისტემის ინტეგრალური ნაწილი. ამ სისტემაში ისინი, ვისაც შეეძლოთ კონსულტირების გაწევა, ინიშნებოდნენ მრჩევლებად და ისინი შერჩეულნი იყვნენ მოსამართლის ან მმართველის მიერ სამართალმცოდნეთა კლასიდან, რომლებსაც გააჩნდათ ისლამური სამართალზე დაფუძნებული იურიდიული გადაწყვეტილებების მიღების კვალიფიკაცია.

ეს სამართლებრივი გამონაკლისი კონსულტაციის სფეროში, ისტორიის განმავლობაში იყო საუკეთესო, როგორც ისლამურ ცხოვრებაში, ისე ზოგადად ისლამურ პრაქტიკაში, ვინაიდან იგი ეყრდნობოდა ხელისუფლების ჭეშმარიტად ისლამურ წყაროს და დიდი ხნის მანძილზე მან წარმატებით შეინარჩუნა საკუთარი ავტონომიურობა და სიზუსტე. ისლამის ისტორიაში ერთმანეთის მონაცვლე სახელმწიფოებს და პოლიტიკური რეჟიმებს არ აღმოაჩნდათ უნარი დაყრდნობდონენ შენარჩუნებულ ხელისუფლების ისლამურ წყაროებს საკანონმდებლო და კულტურულ სფეროებში.

მეოთხე თავი
კონსულტაცია დღეს: როგორ უნდა შევუწყოთ ხელი და განვავითაროთ ის?

არაერთი რელევანტური საკითხი, რომელიც კონსულტაციას უკავშირდება, არ არის ადეკვატურად გაგებული და არც კონსულტაციის პრინციპებია პრაქტიკაში ადეკვატურად გამოყენებული. კონსულტაციის მნიშვნელობის განახლებული სათანადო შეფასება საშუალებას მოგვცემს ვიმოძრაოთ კონსულტაციური სისტემის შექმნის მიმართულებით. ჯერ კიდევ დიდი საერთო ძალისხმევაა საჭირო კონსულტაციის პრაქტიკისთვის სოლიდური ჩარჩოს შესაქმნელად და მისი სხვადასხვა სფეროში უფრო მეტად პრაქტიკული გამოყენებისათვის.

თუ ჩვენ გვინდა, რომ კონსულტაციასთან დაკავშირებული საკითხები და პრინციპები ინტეგრირებული, ეფექტური სახით გავიგოთ, რომელიც ჩვენ საშუალებას მოგვცემს ფეხი ავუბათ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს, მაშინ ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ავტორიტეტულ საფუძვლებს, რომლებიც ისლამის საწყის ფაზას უკავშირდება, სახელდობრ, შუამავლისა და მართლმორწმუნე ხალიფების ხანებს.

ეს საფუძვლები მოიცავს (1) თეორიულ და პრაქტიკულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც უნდა იქნეს შეგროვებული შუამავლისა და მისი თანამოაზრეების, მართლმორწმუნე ხალიფების მაგალითებისგან, (2) ისლამის კანონმდებლობის პრინციპებსა და მიზნებს, და (3) კონსულტაციასთან დაკავშირებულ სისტემებს და მექანიზმებს, რომლებიც განხორციელებული იყო მუსლი-

მების მიერ მათი ისტორიის მანძილზე და მთელი მსოფ-ლიოს მასშტაბით.

ჩვენი ამოსავალი წერტილი კონსულტაციის პრაქ-ტიკის დანერგვასთან დაკავშირებით, არის იმის გააზრე-ბა, რომ ის ღრმად ფესვგადგმულია ისლამის რელიგიასა და ღვთიურ გამოცხადებაში. როგორ ასეთი, ის წარმო-ადგენს ღმერთის საჩუქარს და შარიათის, ანუ ისლამური სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველთაგანს. შე-საბამისად, მისი გამოყენება ნიშნავს შარიათის კანონე-ბის გამოყენებას, ხოლო უგულებელყოფა - შარიათის უგულებელყოფას. ღვთიური გამოცხადების შემდეგ კონ-სულტაცია წარმოადგენს ქმედებისთვის მიმართულების მიცემის, როგორც ინდივიდუალურის, ისე კოლექტიუ-რის, უპირველეს საშუალებას და შეესატყვისება სიბ-რძნესა და სწორ წინამძღოლობას. მუსლიმები ხელ-მძღვანელობენ პირველი რიგში ღვთიური გამოცხადებით და, მეორე რიგში, კონსულტაციით.

ამ ორი სახელმძღვანელო წყაროს საშუალებით მი-იღება შესაბამისი ცოდნა და გაცნობიერება, და მათთან ერთად ცდის განხორციელების, დამოუკიდებელ განსჯა-სა და ინტერპრეტაციაში ნაყოფიერად ჩართვის უნარი. როდესაც რაიმესთან დაკავშირებული პრობლემური სა-კითხი საზოგადოების წევრებისთვის საერთოა ან შეეხე-ბა სხვების უფლებებს, ამ შემთხვევაშიც კონსულტაცია განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს. ასეთ კონ-სულტაციებში ჩართული უნდა იყვნენ ისინიც, ვისი უფ-ლებებიც საფრთხის ქვეშაა (ან ისინი, ვისაც ხელეწიფება მათი წარმომადგენლობა) განსაკუთრებით მაშინ, როდე-

საც მოცემულ საკითხს შესაძლოა ჰქონდეს შედეგები, რომლებიც მათზე იმოქმედებს.

ისლამში არ უშვებს სხვებისთვის იმ წილის ბოძებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ამასთანავე, ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ სხვებსაც გავუზიაროთ საკუთარი კითხვები. ზუსტად ეს არის კონსულტაციის არსი. კონსულტაციის მეშვეობით ჩვენ სხვებთან ერთად ვფიქრობთ, ვგეგმავთ და ვაგვარებთ საქმეებს. ადამიანები ერთად უნდა იყვნენ ჩართულნი ურთიერთგაზიარების პროცესში, ხოლო მათ, ვინც აღჭურვილია ძალაუფლებით და სხვების მიმართ პასუხისმგებლობა აკისრიათ, განსაკუთრებული ვალდებულება აქვთ, რომ მათ მიერ მართულებს მისცენ მონაწილების მიღების, მსჯელობის, დაგეგმვის და მართვის პროცესში მონაწილეობის უფლება.

მუსლიმის უფლებაა საზოგადოებრივ საკითხებთან და თანაზიარ ინტერესებთან დაკავშირებით ჩართული იყოს კონსულტაციის პროცესში. მეტიც, თუ ადამიანებს აქვთ უფლება კონსულტაციის პროცესში, რომელიც მათთვის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას შეეხება, მონაწილეობა მიიღონ, პირდაპირი გზით ან ინდივიდების საშუალებით, რომლებიც მათ წარმოადგენენ, მათთვის ამ უფლების ჩამორთმევა მათდამი არასამართლიანი მოპყრობაა. უფრო მეტიც, რაც უფრო მეტ ადამიანს ექნება ეს უფლება ჩამორთმეული და რაც უფრო დიდი ხნით იქნება დაშვებული ამგვარი ვითარების არსებობა, მით უფრო მეტად დაგროვდება ნეგატიური შედეგები. ხალიფა ‘უმარმა მკაცრად ისაუბრა ამ საკითხზე. ის იმდენად შორსაც კი წავიდა, რომ ადამიანებს,

რომლებიც სხვებს კონსულტაციაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევას გაუბედავდნენ, სიკვდილით დაემუქრა.

აურაცხელი დანაკარგის ვითარებაში, რომელიც მუსლიმმა საზოგადოებამ კონსულტაციის სისტემური სახით პრაქტიკაში დამკვიდრების წარუმატებლობის შედეგად განიცადა, ჩვენთვის დადგა დრო, რომ განვაახლოთ კონსულტაციის საჭიროების და ღირებულების დაფასება. ყველაფერთან ერთად, ის მოსდევს ყურანსა და სუნას, როგორც ადამიანებისთვის სახელმძღვანელო წყარო და მათი საქმეების მოგვარებისთვის სანდო საშუალება. ისლამურ ცხოვრებაში კონსულტაციის აღდგენა უსამართლობის მოსპობის, სულიერი და მატერიალური რეფორმის და საზოგადოების გამოფხიზლების აუცილებელი პირობაა.

„შურა“ არასოდეს ყოფილა ჩართული მთელი რიგი მყარი ინსტიტუტების ჩამონათვალში, არ იყო მთავრობის, ადმინისტრაციის, *„ზაქათის“*[14] გადანაწილების, რელიგიური ფონდების, *„ჰისბას“*.[15] ბაზრების, სასამართლო თლო სისტემის, დანაშაულის კონტროლის, საპოლიციო ზედამხედველობის, უსაფრთხოების, ცოდნისა და განათ-

---

14. **ზაქათი**, არაბულად: **زكاة**; -განწმენდა, სავალდებულო მოწყალების გაღება ღარიბისადმი, რომელიც ევალება გარკვეული ქონების მფლობელ მდიდარ მუსლიმებს. ზაქათი არის სავალდებულო გადასახადი და გაიცემა წელიწადში ერთხელ.

15. **„ჰისბა“,** არაბულად **حسبة**: *ისლამური დოქტრინის მიხედვით ნიშნავს „პასუხიმგებლობას“, ერთგვარი რელიგიურად უფლებამოსილი პირი, რომელიც მიუთითებდა თუ რა არის კარგი და რა არის აკრძალული, იგი თავისი დამოუკიდებელი ფუნქციით წარმოიქმნა აბასიანთა მმართველობის პერიოდში. ასეთი პიროვნების კომპეტენციაში შედიოდა ბაზრების, სისუფთავის, ჰიგიენის და ასევე საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლი.*

ლების მსგავსი ფუნქციების მატარებელი. ისლამის ყველაზე ადრეულ ხანებში, ამგვარი ინსტიტუციის დაფუძნება საკუთრივ ამ ფაზის ბუნებისთვის არც საჭირო და არც შესაბამისი იქნებოდა, ვინაიდან იმ დროის კონსულტაციის პროცესი ნიშანდებული იყო სპონტანურობით, უბრალოებით, ეყრდნობოდა პატიოსნებას და ნდობას, რაც განსაზღვრული სისტემისა და სპეციალიზებული ინსტიტუციის გარეშეც, ის რეგულარულად და ეფექტურად ხორციელდებოდა. რეგულაციებსა და სისტემებში ამ საერთო ტენდენციის შენარჩუნებით მართლმორწმუნე ხალიფების დროს არაერთმა ორგანიზაციული ინიციატივამ შეისხა ხორცი და ნაბიჯები გადაიდგა წინ. თუმცა, მომავალი თაობების მიერ ყველა მათგანი არ შენარჩუნებულა თუ განვითარებულა.

საქმიანობის წარმართვისთვის ყველაზე ბუნებრივი მიმართულება ამგვარი ორგანიზაციული პროცეურებისთვის იქნებოდა დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკის დონეზე, კონსულტაციის პრაქტიკის სისტემად ჩამოყალიბება. ის ორგანიზაციული და სამართლებრივი ვაკუუმი, რომელსაც მოეცვა კონსულტაციის მენეჯმენტი და პოლიტიკური განსხვავებები ღიად ტოვებდა ძალაუფლების ლოგიკისთვის დომინირების გზას.

კონსულტაცია ნიშნავს ისლამური სამართლის, გონის და თანაზიარი ინტერესების თემის წევრებს შორის შუამავლის პოზიციაზე დაყენებას. კონსულტაცია შედგება დიალოგისგან, ურთიერთგაგებისა და საერთო შეთანხმებისგან, რომლიდანაც ყველა კუთვნილს იღებს. კონსულტაცია ასევეა არგუმენტირების, დარწმუნების

პროცესი და საკუთარი თავისთვის უფლების მიცემა, იხელმძღვანელო დადასტურებულით. არსებობს იმ ინ-სტიტუციების არსებობის აუცილებლობა, რომლებიც ამ-ყარებს კონსულტაციის პრაქტიკას და მის მარეგულირე-ბელ კანონებს. თუნდაც რომ ისლამი არ ითვალისწინებ-დეს კონსულტაციის პრაქტიკის მკაფიოდ ჩამოყალიბე-ბულ სისტემას, ის ნებისმიერ შემთხვევაში შეესაბამება მის მიდგომას ცხოვრების ნებისმიერი სფეროს ორგანი-ზაციული ასპექტების მიმართ, რომლებიც ექვმდებარება ევოლუციასა და ცვლილებას.

მუსლიმებისთვის ცოდნისა და განათლების ძიების დაჟინებული მოწოდებაა ყურანის არაერთ ლექსსა და შუამავლის ჰადისებში. მსგავსად, ჩვენ ვხედავთ, რომ შუამავალმა დაადგინა პრაქტიკული მაგალითების მთე-ლი წყება მუსლიმური თემისთვის, რომლებიც კავშირშია როგორც კონსულტაციასთან, ისე ცოდნისა და განათ-ლების ძიებასთან. რამდენადაც ჩვენ ახლა ვესწრაფით გარკვეული საკითხების მოწესრიგებას კონსულტაციის ხელახლა დამკვიდრებისთვის როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ ავაღორძინოთ ჩვენი ფუძემდებლური პრინციპები და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დავეყრდნოთ მათ.

ყველა დონეზე ისლამის საშუალებით დაპყრობე-ბითვის და მუსლიმი ერისთვის საფასურის გადახდა გახ-და საჭირო: ისლამურ სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში ზოგიერთი თვისობრივი ასპექტის დარღვე-ული ბალანსი და დანაკლისი, ღვთისმოსაობის და მო-რალური სტანდარტების დაკნინება. კომპანიონები და

მათი მემკვიდრეებიც კი, რომლებსაც შესწავლილი ჰქონ-დათ მათი ნააზრევი და მოღვაწეობის გზები, აღმოჩ-ნდნენ უმცირესობაში აურაცხელ ახალ მუსლიმთა შორის არაბეთის ნახევარკუნძულზე, ასევე ლევანტში[16], ერაყში, ეგვიპტეში, სპარსეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ყველ-გან სხვაგან, დაწყებული იქედან, საიდანაც გმოვიდნენ უმარის მკვლელები, ისე როგორც უსმანისა და ალისა. აღარ მოხდა სარგებლის, რომლის მიღებაც ერთ დროს შესაძლებლად აქცია კონსულტაციამ, შენარჩუმნება და სისტემატიზება ერთიან ჩარჩოში მოსაქცევად.

ადამიანების ცხოვრებასა და საზოგადოებაში ნე-ბისმიერი სახის განვითარება, განსაკუთრებით ნეგატიუ-რი ხასიათისა, მოითხოვს დამოუკიდებელი, შემოქმედე-ბითი მსჯელობას შესაბამის გამოყენებას. აზროვნების პროცესს შეუძლია ხელი შეგვიწყოს იმ გადაწყვეტილე-ბების მიღებაში, რომლებიც კავშირშია ისლამური სამარ-თლის რელევანტურ ტექსტებთან, მის სახელმძღვანელო პრინციპებთან და მიზნებთან, საუკეთესოდაა მისადაგე-ბული მოცემულ სიტუაციებს. უნდა შევიმუშაოთ ღონის-ძიებები და შევქმნათ ინსტიტუციები, რომლებიც შეი-ნარჩუნებს მუსლიმების რელიგიას, დაიცავს მათ ინტე-რესებს, იმავდროულად მოსპობს უთანხმობებებსა და გაყალბებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ ცხოვ-რებას როგორც ინდივიდების, ისე საზოგადოების დონე-ზე.

საჭიროა ისტორიული გამოცდილებიდან მაგალი-თების აღება, როგორც მათი ღირსებებისა, ისე წარუმა-ტებლობებისა, კონსულტაციის კუთვნილ ღირსეულ ად-

[16] აღმოსავლეთ ხმალთაშუაზღვისპირეთი.

გილზე დაბრუნებისა და როგორც კონცეპტუალური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით მისი ხელახალი ჩამოყალიბების მიზნით. ამგვარი აღდგენა ჩვენგან მოითხოვს კონსულტაციის სფეროში პირველადი ხინჯების აღმოფხვრას, კერძოდ, ორგანიზაციულ ვაკუუმისა, კონსულტაციის პრაქტიკის სისტემატიზებასა და ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის წარმართვით.

გონებაში ორგანიზების საჭიროებიდან გამომდინარე, ოთხი საკანონმდებლო პრინციპი ფართოდაა მხარდაჭერილი ისლამის სამართლის ტექსტებით და გამოსადეგია განმარტებითი საკითხების სახით ადამიანის ცხოვრებაში ახალ განვითარებებთან კავშირში. პირველის საუკეთესო მაგალითია ‘უმარის მიერ დაკავაბული პოზიცია, როდესაც მან გაიგო, რომ მავანი მის გარდაცვალებას ელოდა და სურდა ერთგულება გამოეცხადებინა მის მიერ შერჩეული პირისთვის, ხოლო შემდგომ ეს დანარჩენი მუსლიმი თემისთვის წარედგინა, როგორც მომხდარი ფაქტი. ამ საშიში ამბიციის საპირისპიროდ, ‘უმარმა განაცხადა, რომ მუსლიმურ თემთან კონსულტაციის გარეშე ნებისმიერი სახით ერთგულების გამოცხადება ბათილი და მიუღებელი იქნებოდა. გამჭრიახი, გადამწყვეტი და უაღრესად ფრთხილი მოქმედებით, მან კარი დაუხურა შეუთანხმებლობასა და სამოქალაქო მღელვარებებს საკონსულტაციო საბჭოს შექმნით, რომლესაც მუშაობისას უნდა გაეთვალისწინებინა საზოგადოებრივი აზრი იმ გზით, რომ არავის მიეჩნია გადაწყვეტილება არასწორად.

მეორე სამართლებრივი პრინციპი *„ალ-სადდ აẓ-ẓარუ'ī'ა"*- თავის არიდების იურიდიული მექანიზმების აკრძალვა ანდა ნებისმიერი სხვა რამისა, რასაც პოტენციურად შეეძლო გამოეწვია რაიმე აკრძალულის ან დესტრუქციული დაშვება -ეს ნაწილობრივ ემთხვევა პირველ პრინციპს იმ თვალსაზრისით, რომ კანონდარღვევათა ახალი სახეობები მოითხოვს ახალი დადგენილებების მიღებას. მეორე პრინციპი უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა და უფრო სპეციფიკურია, რამდენადაც ის შეეხება შემთხვევებს, როდესაც რაღაც კანონით დაშვებული გამოიყენება რაღაც აკრძალულის განხორციელების გასამართლებლად. სხვა სიტყვებით, რაიმე კანონიერი და დაშვებული გამოიყენება სულ სხვა, მისი თავდაპირველი მიღებისგან განსხვავებული მიზნით. მთელი რიგი მაგალითებისა და პრაქტიკული გამოყენებისა, შეესატყვისება კონსულტაციის ორგანიზებისა და შენარჩუნების პრაქტიკას. ერთი შეიძლება დანახული იყოს იმ ფაქტში, რომ მიუხედავად თავიანთი ორგულობისა და მასსა და მუსლიმური თემისთვის ზიანის მიყენების სურვილებისა, შუამავალი თავს იკავებდა ფარისევლების სიკვდილის დასჯისგან. შუამავალმა იცოდა, რომ ზოგიერთი ფარისეველი სიკვდილით დასჯას იმსახურებდა, თუმცა მან *„სადდ აẓ-ẓარუ'ī'ა"* პრინციპის გათვალისწინებით ისინი უვნებელი დატოვა.

მესამე პრინციპი, რომელიც კონსულტაციის ორგანიზებას უკავშირდება, არის საზოგადოების ინტერესების კონცეფცია *(ალ-მაṣალიḥ ალ-მურსალა),* ისლამის კანონმდებლობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი. იგი ეფუძნება ცნებას, რომ ისლამური სამართლის და-

ნიშნულებაა ემსახუროს ადამიანების სულიერ და მატერიალურ ინტერესებს, მისი წესების მიზანი კი ადამიანებისთვის სარგებლის მოტანა და ზიანისგან მათი დაცვაა, იქნება ეს მყისიერი თუ სამომავლო. ადამიანების ეს ინტერესები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ყურანისა თუ სუნას ტექსტებში, არამედ ისინი ზოგადი თანხმობის მიღწევის შედეგია, ემყარება იმ გარემოებებს, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანთა საზოგადოებაში. ისლამური სამართალი დეტალურად არ აყალიბებს ადამიანთა ინტერესებს, ასევე არ აზუსტებს ყველა იმ წესს, რომლებიც საჭიროა ამგვარი ინტერესების დასაცავად. ეს წესები კი არამხოლოდ უამრავია, არამედ მრავალგვარიც და მათი რაოდენობაც დღითიდღე იზრდება.

შესაბამისად, ამ დეტალურად გაწერილი წესების გარდა, ისლამურ სამართალში ჩამოყალიბებულია ზოგადი წესები, უნივერსალური პრინციპები და ყოვლისმომცველი მიზნები, რომლებიდანაც შეიძლება წარმოდგეს ახლადწარმოქმნილ გარემოებებთან დაკავშირებული წესების აურაცხელი რაოდენობა. ყველაფერი, რაც კარგია, სარგებლის მომტანია, სწორია, სამართლიანია და საქველმოქმედოა, გათავისებულია ისლამური სამართლის მიერ, ან როგორც რეკომენდირებული პრაქტიკით (მანდუბ), ან როგორც სავალდებულო (ვაჯიბ), მისი მნიშვნელობის ხარისხიდან ან აუცილებლიდან გამომდინარე.

ისლამის სამართლებრივი წესები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი მოთხოვნებს: (1) ისინი უნდა თავსებადი იყოს ისლამური სამართლის მიზნებთან, არ უნდა შერყვნას არც ერთი მისი პრინციპი და არ უნდა ეწინა-

აღმდეგებოდეს არც ერთ მის ტექსტს. (2) ისინი უნდა იყოს გასაგები და ექვემდებარებოდეს რაციონალურ ლოგიკას, და უნდა იყოს მისაღები, როდესაც გონიერ ადამიანებს წარედგინება; (3) ისინი იმგვარი უნდა იყოს, რომ როდესაც მათ მიიღებენ და ამ წესებით იხელმძღვანელებენ, უნდა ემსახურებოდეს ისლამურ სამართალს. საერთო ჯამში, ადამიანის ინტერესები, რომლებიც უნდა იყოს დაცული და რომელსაც ეფუძნება ისლამის სამართლებრივი წესები, დეტალური შინაარსთან და ისლამური სამართლის საყოველთაო მიზნებთან თავსებადი იქნება და ამ მიზნების შესრულებას მოემსახურება.

ისლამური კანონშემოქმედების ეს ფუძემდებლური პრინციპი საუკუნეთა მანძილზე გამოიყენებოდა მუსლიმი იურისტების, მმართველების, მოსამართლეების მიერ და საფუძვლად ემსახურებოდა მათი აურაცხელი რაოდენობის მისადაგებას ცხოვრების მრავალ სფეროსათვის. ამგვარი გამოყენების ერთ-ერთი მაგალითია, აბუ ბაქრის დროს ყურანის ცალკეული ნაწილების შეკრება, რომელსაც მოჰყვა ყურანის სტანდარტული ასლების მიღება ყველა მუსლიმისთვის ‘უსმან იბნ აფფანის ხალიფობის დროს არსებულ ისლამურ ტერიტორიებზე.

მეოთხე პრინციპი არის საერთო კეთილდღეობისთვის სხვებისაგან დასესხება. არ არის ცნობილი იურიდიული პრინციპი, რომელშიც ეს ზუსტადაა გადმოცემული; მაგრამ მისი შინაარსი ისლამური სამართლის სტანდარტების მიხედვით ვალიდურია და ისლამის ისტორიის განმავლობაში იგი აქტიურად გამოიყენებოდა. იგი გამოიყენებოდა ღმერთის შუამავლის, მისი კომპანიონების და მართლმორწმუნე ხალიფების მიერ, ასევე საუკუნეების

განმავლობაში მუსლიმების მიერ, განსაკუთრებით ორ-განიზაციულ საკითხებთან და ადმინისტრაციულ პრო-ცედურებთან მიმართებაში. მუსლიმებს სხვებისგან ისესხეს ის, რაც მათთვის გამოსადეგარი იყო და და არ ეწინააღმდეგებოდა მათ რელიგიას. კრიტერიუმი, იმის განსაზღვრისათვის, მოცემული საკითხი იმსახურებდა თუ არა მიბაძვას, იყო ის, თუ რამდენად შეესაბამებოდა და ემსახურებოდა იგი ისლამს, რა სარგებლობას იღებ-და მისგან მუსლიმური თემი და მისი ინტერესები. ასეთი სესხება არის შუამავალის მიბაძვის მუდმივმოქმედი სა-შუალება, რომელიც მხარდაჭერას ჰპოვებს ყურანსა და შუამავლის, მისი თანამოაზრეების და ხალიფების მაგა-ლითებში. დემოკრატიის არსებობის დროს, მაგალითად, ჩვენ გვჭირდება ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც დემოკრატია ფორმის, ორგანიზაციის, და პროცედურების სფეროებში გვთავაზობს.

როდესაც კონსულტაციას განვიხილავთ როგორც რეფორმის ხელსაწყოს, ამჟამინდელი დისკუსია კონ-სულტაციის შესახებ ასახავს ზრუნვასა და პასუხისმგებ-ლობის აღებას მის პოლიტიკურ და სოციალურ გარე-მოზე, იმავდროულად კი ინარჩუნებს საკუთარ განსხვა-ვებულ ფოკუსსა და მიზანს. კონსულტაცია მუსლიმების გულსა და გონებაში ღრმად ფესვებგადგმულ, რეფორ-მისტულ პრინციპს წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია ადაპტაციისა და მოდიფიკაციის უზარმაზარი პოტენცია-ლი. მაშინ როგორ უნდა შევძლოთ ამ რეფორმისტული პრინციპის პრაქტიკულ მექანიზმად გარდაქმნა, რისი სა-შუალებითაც მუსლიმ თემს შეეძლება საკუთარ თავის-თვის წინსვლის ბიძგის მიცემა და კონსტრუქციული,

პროგრესული პოტენციალის გააქტიურება, რომელიც თავსდება მისი ისლამის გზავნილისადმი ერთგულების ვალდებულების ჩარჩოებში? ეს საჭიროებს კონსულტაციის კულტურას.

კონსულტაციის კულტურის დანერგვა მოითხოვს უფრო მეტი ნაშრომების დაწერას, უფრო მეტ ლექციასა და სემინარს, კონსულტაციის არსისა და და მნიშვნელობის და მისი უგულებელყოფით შედეგად ჩვენთვის მოტანილი ზიანის უფრო მეტად გააზრებას. საჭიროა დასწავლის დისკურსი, რათა კონსულტაციის კულტურა გავრცელდეს კომუნიკაციას ყველა შესაძლო საშუალებით, რომელშიც შედის მედია, განათლება, ხელმძღვანელობა, ქადაგება და ისლამური სამართლებრივი გადაწყვეტილებების გამოცემა. კონსულტაციას ინდივიდი საკუთარი საქმეების მართვის ახალ დონეზე აჰყავს, შესაძლებლობას აძლევს მას ემსახუროს როგორც საკუთარ, ასევე სხვის ინტერესებს მაქსიმალურ დონეზე, ეხმარება საკუთარი თავის და სხვებისათვის ზიანის მიყენების შემცირებაში, განწმენდასა და საკუთარი ინტელექტის განვითარებაში.

ამგვარ პროპაგანდისტულ საქმიანობაში ჩართულ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ კონსულტაციის კულტურის დანერგვა მუსლიმთა შორის საკითხთან დაკავშირებით მათი ცნობიერებისა და განათლების დონის ამაღლებით, ამგვარი პროიპაგანდისტულ ჯგუფების წევრთა სწავლებით პროცესის მიმდინარეობისას და კოსულტაციის ჩართვით ჯგუფურ ქმედებაში.

დასკვნა

ინდივიდები და ჯგუფები, რომლებიც იზიარებენ კონსულტაციის პრაქტიკას, გზას გაკვალავენ სრულქმნილ ისლამურ მმართველობამდე და შექმნიან თემისთვის პირველად საყრდენსა და მხარდაჭერას. გავიხსენოთ ყურანის აია, რომელიც აღწერს მუსლიმ თემს, როგორც მათ ერთობას "რომელთა წესიც [ერთობლივად საზრუნავ ყველა საკითხთან დაკავშირებით] ბჭობაა ერთმანეთს შორის..."[17] ამ აიას ზეგარდმოვლენა მუსლიმი თემისთვის მოხდა მაშინ, როდესაც ის მხოლოდ მორწმუნეთა მცირერიცხოვან ჯგუფს წარმოადგენდა, რომლებიც სხვებს ჭეშმარიტი რწმენისაკენ მოუწოდებდნენ, და მათ არ ჰქონდათ არც სახელმწიფო და არც სახალიფო. კონსულტაციის სულისკვეთებით განმსჭვალული უნდა იყოს მთლიანად ის კულტურა, რომელშიც ვცხოვრობთ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი უნდა გახდეს წარმმართველი ცხოვრებისეული გზა. კონსულტაცია წარმატებული იქნება და განიმტკიცებს პოზიციებს მხოლოდ თავისუფალ ატმოსფეროში: ცნობიერების თავისუფლება, აზროვნების თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება.

ავტორის შესახებ

აჰმად ალ-რაისანს მიღებული აქვს დოქტორის ხარისხი მუჰამად ალ-ხამისის უნივერსიტეტში (რაბათი, მაროკო). ის მაროკოში მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში, არის გაზეთ *al-Tajdid*-ის რედაქტორი და მაროკოს

---

17. ყურანი 42:38.

მუსლიმი მკვლევრების ასოციაციის წევრი. პროფესორ ალ-რაისანის ეკუთვნის არაერთი წიგნი და სტატია *al-Maqaşīd*-ის შესახებ არაბულ ენაზე, რომელთაგან ზოგიერთი თარგმნილია სხვა ენებზე. ამჟამად მას მიჰყავს მუჰამად ალ-ხამისის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კოლეჯში კურსები *Uşūl al-Fiqh* და *Maqaşīd al-Shār'ia.*

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის შინაარსის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

მუსლიმებს არ გააჩნიათ „აშ-შურას“ (საერთო კონსულტაცია) ყურანისეული მნიშვნელობისა და ღირებულებების, მუსლიმი საზოგადოების განვითარებასა და რეფორმაში მისი მნიშვნელოვანი როლის შესახებ ცოდნა. ნაშრომში ავტორი ცდილობს წარმოადგინოს „შურას“ ძირითადი მნიშვნელობები და პრაქტიკა, მისი ისტორიული განვითარება, რომელიც ინსტიტუციონალიზებული და გამოყენებული იყო მუსლიმურ საზოგადოებაში. უეჭველად, „შურა“ მუსლიმური სამყაროსგან ჩამოშორებულია ისტორიული და პოლიტიკური მიზეზების გამო. ავტორი ფიქრობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკითხთან დაკავშირებით ბევრი დაიწერა, იგი არაეფექტურად გამოიყენება ან უარეს შემთხვევაში საერთოდ იგნორირებულია.

პროფესორი მუჰამმად ჰაშიმ ქამალი

თანამედროვე ისლამური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის

დამფუძნებელი დირექტორი, მალაიზია

არაბულ ქვეყნებში არსებული დიქტატურის წინააღმდეგ გამოხატული პროტესტი გამოწვეულია წარმომადგენლობითი ხელისუფლების წარუმატებლობით. ამ დროის განმავლობაში დაკარგული მემკვიდრეობის, რომელიც ისლამის კულტურას უკავშირდება აღდგენა ვერ ხერხდება. არ-რაისუნის დროული წვლილი ცხადყოფს შურას ადგილს წმინდა წიგნში, ისტორიულ პოლიტიკურ პრეცედენტს,ისევე როგორც თანამედროვე მუსლიმურ პოლიტიკაში მისი აღდგენის მეთოდს. მის მიერ პრაგმატულ საკითხზე ყურადღების გამახვილება, აშ-შურასა და დემოკრატიას შორის კონვერგენციაზე ხაზგასმა, ნაშრომს სძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

დრ. აბდულვაჰაბ ელ-ეფფენდი

ვესმისტერის უნივერიტეტის დემოკრატიის შემსწავლელი ცენტრის პროგრამის: ისლამი და დემოკრატია კოორდინატორი

დასაწყისში ნახსენებია კონსულტაცია. რითაც იწყება აჰმად არ-რაისუნის შესანიშნავის წიგნი აშ-შურა, რომელშიც განხილულია ყველა მიზეზი ცხოვრების ყველა ასპექტში კონსულტაციის პრინციპების მნიშვნელობაზე. მისი მთავარი სათქმელი არის ის, რომ თავად პრინციპის წარმოშობა ღვთიურია. ავტორი პრინციპს არ განიხილავს, როგორც უბრალო დოქტრინულ საკითხს. მეტიც, იგი ვერ ხედავს საწინააღმდეგოს,კონსულტაციის პრინციპს განვითარებისთვის თანამედროვე დემოკრატიული თეორიისა და პრაქტიკისგან სესხებში. მას მიაჩნია, რომ დემოკრატიასაც იმდენადვე სჭირდება კონსულტაცია რამდენადაც ჩვენ გვჭირდება ის. ნაშრომი გვთავაზობს ყოვლისმომცველ, საინტერესო ანალიზს და ხელახალ გა ნხილვას ისლამის ამ ძირითად პრინციპზე.

International Institute of Islamic Thought

ISBN 978-9941-33-212-8